

შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად

ნაპირს, რასაც საოცარი სილაჟვარდით ავსებს წყალი,
სადაც დაფნის ტყეებია და მზიური ფორთოხალი,
ნაპირს, რის მსგავსს ზღვათ მაგალი ვერსად ნახავს კაცის თვალი,
გადმოვიდა მოყმე ვინმე, ამაყი და სახემკრთალი.
პირველ მუხლი მოიყარა. მოწიწებით გადგა შორა,
თაყვანი სცა მშობელ მიწას, რამდენჯერმე ეამბორა,
კვლავ დაემხო, კვლავ ცრემლები სისხლის რუებრ მოატბორა,
მელირსაო შენი ნახვა. აწც ვინ დაგვაშორიშორა?=
ამბობს: ჩემო სამშობლოო, ღვიძლო დედავ, ჩემო კარგო,
დაგიბრუნდი შენი შვილი, ვეჭვ, რაიმე დიდი გარგო,
გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს, მინდა შენთვის გარდავაგო,
სიბრძნეს - ვეყმო, მოძმეს - ვეძმო, საკადრისი მტერს მივაგო
მე შენ შემჭერ სხვა ცხოვრების, სხვა გარემოთ უცნობ ზვავში,
როსმე წყნარი და უღრუბლო, ზამბახივით ხარი ბავშვი...
ვნახე უცხო მხარეები, გადავეშვი სიბიარძნეთ ზღვაში,
ხან სიცხეში, ხან ავდარში, ხან გრიგალში. ხან ნიავში.

მერამდენედ უნდა გითხრა, მშობლიურო. კვლავ მადლობა
ცისკრისათვის, რასაც დილის ჰქვია მიმოსინათლობა:
იარისთვის. ჩემს დასისხლულ ფეხს რომ აჩნის. ვითარ გზობა,
ყველაფრისთვის, რაც არა მაქვს და ანუ მაქვს: გრძნობა, ცნობა.

აი, დიდი, დაბურული და ზვიადი ჩანს ტყეები.
ზევით, ქვევით ცის ლაჟვარდი, გადაშლილი სივრცეები.
ცადაწვდილი დგას ხეები, კვლავ კლდეები. სახეები,
ახლო მესმის: ჩონგურები აშრიალდნენ. ვით დღეები.

რადაც უცხო სიმსუბუქით მივყავარ სიმო ოქროს ნავებს,
ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს. მზეთა ნუგეშს. ოქროს ხვავებს.
გმადლობ ზღვისთვის, არემარევე! ამგვარად რომ ააყვავებს
აღმომხდარ მზით, ჩამავალ მზით იმ მთვარესა და ვარსკვლავებს.

მე რუსთველი ამა ზღვიდან შემოვდივარ ჩემს ქვეყანას.
მოიარო სხვა ქვეყანა, ვერ მოისმენ ამგვარ ნანას.
ხამს შესწირო "კაცმა თავი მხარეს - ედემს ამისთანას...
მის ვეფხვობას, მის სიუხვეს, სიყვარულს და ოქროს ხანას!

. .